



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### იმერეთის მაღლობი

იმერეთის მაღლობი, გემო იმერეთის მაღლობი (პლატო), საქართველოს მთათაშორისი ბარის ამალღებული ნაწილი გესტაფონის, ხარაგაულის, საჩხერისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე.

აღმ-ით და სამხრ-ით ესაზღვრება ლიხის ქედი, დას-ით – იმერეთის დაბლობი, ჩრდ-ით – რაჭის ქედი. გეოლოგიურად ემთხვევა ძირულის კრისტალურ მასივს, კავკასიონისა და მცირე კავკასიონის ნაოჭა ზონებს შორის მოქცეულ შუალედურ მასივს, რ-იც აგებულია პალეოზოური გრანიტოიდებით, კრისტალური ფიქლებით და ნაწილობრივ დაფარულია სუსტად დანაოჭებული მეზოკაინოზოური დანალექი ქანებით.

გეომორფოლოგიურად იყოფა ორ ძირითად ნაწილად: გაშიშვლებული კრისტალური სუბსტრატის არეში (სამხრ.-აღმ. ნაწილი) გაბატონებულია საშუალომთიანი ეროზიული რელიეფი (აბსოლ. სიმაღლე 1500 მ), ლიხის ქედის თხემზე, გედსამანიის ქედზე და სოფ. გებრულის მიდამოებში შემორჩენილია ძვ. პენეპლენიზებული ზედაპირის ნაშთები. მეზოკაინოზოური დანალექი წყებების არეში (ჩრდ. ნაწილი) განვითარებულია სუსტად დანაწევრებული პლატო კანიონისებრი ხეობებითა და კარსტით ზედაცარცულ კირქვებში (აქაა მღვიმეები – დევისხვრელი, ამაშუკეთი, ნიგოზეთი, გვარჯილის კლდე, მღვიმევი და სხვ., კარსტული ძაბრები, უწყლო ხეობები). პლატოზე ამართულია გორაძირის ორი ვულკ. კონუსი.

ჰავა ზღვის ნოტიო სუბტროპიკულია, იცის შედარებით ცივი და უხვნალექიანი ზამთარი.

მთავარი მდ-ებია: ყვირილა, ძირულა, ჩხერიმელა. გამიშვლებული კრისტალური სუბსტრატის არეში გავრცელებულია კოლხ. ტიპის ფოთლოვანი ტყეები; დანალექი ქანებით აგებულ ნაწილში ტყე განეხილია, შემორჩენილია მხოლოდ ხეობათა ციცაბო ფერდობებზე.

ი. მ-ზეა ქალაქები: ჭიათურა, საჩხერე, დაბა ხარაგაული.

**ლ. მარუაშვილი**

---